

**საქართველო და ხანდაზმულ კირთა
უფლებები ევროკის სოციალური
ქარტიის (შესწორებული)
23-ე მუხლი
ფაქტობრივი ინფორმაცია**



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

მუხლი 23. ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე

– „სოციალურ დაცვაზე ხანდაზმულ პირთა უფლების ეფექტიანად გა-ნხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, უშუალოდ ან საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამ-შრომლობით, მიიღონ ან წახალისონ შესაბამისი ზომები, რომელთა მიზანია:

– ხანდაზმული პირებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მაქსი-მალურად დიდხანს დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, შემდეგი საშუალებებით:

- a. სათანადო სახსრების გამოყოფა, რომლებიც მისცემთ ღი-რსეულად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას;
- b. ხანდაზმული პირებისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებებსა და შეღავათებზე, ასევე, მათით სარგებლობის შესაძლებლო-ბებზე ინფორმაციის მიწოდება;

– ხანდაზმული პირებისთვის შესაძლებლობის მიცემა, თავისუფ-ლად აირჩიონ ცხოვრების წესი და დამოუკიდებლად იცხოვრონ მათთვის ჩვეულ გარემოში, ვიდრე ექნებათ ამის სურვილი და შესაძლებლობა, შემდეგი საშუალებებით:

- a. მათი საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ან სათანადო დახმარების განწევა საცხოვრებლის ადაპტაციაში;
- b. ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მათი მდგომარეობიდან გამო-მდინარე საჭირო სხვა სახის მომსახურებების განწევა.

– დაწესებულებებში მცხოვრები ხანდაზმული პირებისთვის გარანტირება, რომ სათანადო მხარდაჭერა გაეწევათ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისა და დაწესებულების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში მათი მონაწილეობის საფუძველზე.“

ძირითადი პრინციპები

- ▶▶ ქარტია შეიცავს უფლებათა სპექტრს, რომლებიც, ცალ-ცალკეც და მთლიანობაშიც, რეალურ მხარდაჭერას უწევს ხანდაზმულ პირებს, როგორც საზოგადოების აქტიურ წევრებს. ეს უფლებები ეფუძნება რამდენიმე პრინციპს, რომლებიც, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის თანახმად, განსაზღვრავს ქარტიის დებულებათა განმარტებასა და გამოყენებას:

- ▶ **ღირსება** ამოსავალი წერტილია იმ მინიმალურ სტანდარტთა განსაზღვრისას, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ქარტიის შესაბამისად. იგი მიანიშნებს გადასვლას დამხმარე და ზრუნვითი პატერნალისტური მიდგომიდან მოქალაქეობაზე დაფუძნებულ მიდგომაზე;
- ▶ **ავტონომია** უზრუნველყოფს ხანდაზმულთა შესაძლებლობას, თავად აირჩიონ სოციალური დაცვის ტიპი და ცხოვრების წესი, რასაც განამტკიცებს თვითნებური შეზღუდვისგან დაცვის გარანტიები. ამ მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გადანაცვლების მიღებაში ჩანაცვლების მოდელი შეიცვალოს გადანაცვლების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით, რომელიც პატივს სცემს პირის ავტონომიას, ნებასა და პრიორიტეტებს;
- ▶ **თანასწორობა** ანმტკიცებული ქარტიის E მუხლით ხაზს უსვამს მრავალფეროვნების პატივისცემას და პოზიტიურ ქმედებათა საჭიროებას, რეალური თანასწორობის მისაღწევად;
- ▶ **სოლიდარობა** ასახავს ადამიანის სოციალურ ბუნებას და მოიცავს რესურსების/სახსრების გადანაწილებას სახელმწიფო დახმარებისა და სოციალური დაზღვევის სისტემათა მეშვეობით;
- ▶ **მონაწილეობა** გულისხმობს არსებით და ღირებულ ჩართულობას საზოგადოებაში, ასევე, იმ პროცესებში, რომლებიც უკავშირდება სოციალური უფლებების კანონსა და პოლიტიკაში განსაზღვრას და განხორციელებას.

23-ე მუხლის ფარგლები

- ▶▶ ქარტია უნიკალურია იმით, რომ შეიცავს *sui generis* დებულებას კონკრეტულად ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ. 23-ე მუხლი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების პირველი დებულებაა, რომელიც იცავს უშუალოდ ხანდაზმულთა უფლებებს. მას საფუძვლად უდევს მთავარი იდეები – ადამიანის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის პატივისცემა, ასაკის მიუხედავად. 23-ე მუხლში ჩადებულია სოციალური ჩართულობისა და აქტიური მოქალაქეობის კონცეფცია.
- ▶▶ ქარტიის 23-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, „უშუალოდ ან საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ან წაახალისონ შესაბამისი ზომები, რომელთა მიზანია ხანდაზმული პირებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მაქსი-მალურად დიდხანს დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან

წევრებად.“ ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი „საზოგადოების სრულფასოვანი წევრები“, გულისხმობს, რომ ხანდაზმული პირები არ უნდა გაირიყონ ასაკის გამო. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს ყველა პირს, იქნება ის აქტიური თუ პენსიაზე გასული, ინსტიტუციაში მცხოვრები, თუ სხვაგან.

- ▶▶ ეს მუხლი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან და მოიცავს ხანდაზმულ პირთა კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს, სამუშაო გარემოს მიღმა. იგი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ყოვლისმომცველი სექტორთაშორისი ზომების შემუშავებას, რომლებიც პასუხობს ხანდაზმული მოსახლეობის მრავალფეროვან საჭიროებებს სხვადასხვა სფეროში, როგორცაა ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და დახმარება, საცხოვრებელი პირობები, და დაცვა სიღარიბისა და გამორიცხვისაგან. ამ დებულებით გათვალისწინებული ზომები, მათი მიზნებიდან და განხორციელების საშუალებებიდან გამომდინარე, მიუთითებს ახალ და პროგრესულ ხედვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხანდაზმულთა ცხოვრება, და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს თანმიმდევრული ქმედებების შემუშავებას 23-ე მუხლით მოცულ ყველა სფეროში.

სამართლებრივი ჩარჩო

- ▶▶ 23-ე მუხლის განხორციელება ხასიათდება დინამიკური ბუნებით, რომელიც ვითარდება საზოგადოებრივი შეხედულებების, ასევე, ხანდაზმულთა უფლებებსა და საჭიროებებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების ცვლილებათა შესაბამისად. მისი განმარტება მნიშვნელოვნად განვითარდა კომიტეტის საქმიანობით. ეს მუხლი მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

დისკრიმინაციის დაუშვებლობა

- ▶▶ ქართის 23-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ყოვლისმომცველი კანონმდებლობის მიღებას ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან საბრძოლველად, არა მხოლოდ დასაქმების კონტექსტში, არამედ სხვა სფეროებშიც. მათ შორისაა: წვდომა საქონელზე, სერვისებსა და დანებსებულებებზე, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, დაზღვევასა და საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული მომსახურებები.

- ▶▶ ხანდაზმულ პირთა დისკრიმინაცია სოციალური უფლებებით სარგებლობისას ეწინააღმდეგება E მუხლსაც, რომელიც კრძალავს ყველა ფორმის დისკრიმინაციას ქარტიით განსაზღვრულ უფლებათა გამოყენებისას, მათ შორის, დისკრიმინაციას ასაკის ნიშნით. მიუხედავად იმისა, რომ თავად E მუხლი არ ქმნის დამოუკიდებელ საფუძველს წევრ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საჩივრის წარსადგენად, იგი უზრუნველყოფს დისკრიმინაციისადმი შეუწყნარებლობას ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა განხორციელების პროცესში.
- ▶▶ კომიტეტი განარჩევს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას. პირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს განსხვავებულ მოპყრობას ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ, ლეგიტიმური მიზნის, ობიექტური საფუძვლის ან თანაბრობის გარეშე. ირიბია დისკრიმინაცია, როცა ერთი შეხედვით ნეიტრალური კანონმდებლობა არათანაბრობიერ გავლენას ახდენს კონკრეტულ ჯგუფზე, რადგან ვერ ითვალისწინებს არსებით განსხვავებებს, ან ვერ უზრუნველყოფს თანასწორ წვდომას უფლებებზე. ბოლოდროინდელ შემთხვევებში, კომიტეტმა შეისწავლა ირიბი დისკრიმინაცია, რათა შეეფასებინა, აქვს თუ არა ერთი შეხედვით ნეიტრალურ კანონებს უსამართლო გავლენა გარკვეულ ჯგუფებზე, მათ შორის, ხანდაზმულებზე. ამასთან, კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს მრავალჯერადი დისკრიმინაციისა და ინტერსექციურობის საკითხებზე, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ ქალებთან მიმართებით.

ეიჯიზმი

- ▶▶ საერთო ჯამში, ქარტია ხაზს უსვამს სოციალურ უფლებათა გამოყენებას ხანდაზმულ პირთა ავტონომიის, ღირსებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების განსამტკიცებლად. ეს მოითხოვს ასაკზე დაფუძნებული დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამოვლენასა და აღმოფხვრას პოლიტიკასა თუ სხვა ზომების ჩართულობით, რომლებიც ასახავს ან განამტკიცებს ასეთ ეიჯიზმს. კომიტეტი სათანადოდ ითვალისწინებს ეიჯიზმის თანამედროვე განმარტებებს, რომლებიც მოიცავს სტერეოტიპებს, წინასწარგანწყობებს და დისკრიმინაციას სხვების ან საკუთარი თავის მიმართ, ასაკის ნიშნით.
- ▶▶ წევრმა სახელმწიფოებმა, დისკრიმინაციის ამკრძალავი ყოვლისმომცველი კანონმდებლობის მიღებასთან ერთად, უნდა გაატარონ ეიჯიზმის საწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები. მათ შორისაა:



- ▶ არსებული კანონებისა და პოლიტიკის გადახედვა (და საჭიროების შემთხვევაში – ცვლილება) ასაკობრივ დისკრიმინაციასთან საბრძოლველად;
- ▶ სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა თანასწორ შესაძლებლობებსა და უფლებებს;
- ▶ დადებითი დამოკიდებულებების ნახალისება ხანდაზმულობის მიმართ, მათ შორის, საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებითა და თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობით.

ქმედნარიანობა

- ▶▶ 23-ე მუხლი ასევე მოითხოვს, რომ ხანდაზმული პირებისთვის შეიქმნას გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო, რომლითაც გარანტირებული ექნებათ უფლება, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები. არ უნდა ჩაითვალოს, რომ ხანდაზმულ პირები უუნარონი არიან გადაწყვეტილებათა მისაღებად, მხოლოდ იმიტომ, რომ აღენიშნებათ გარკვეული სამედიცინო მდგომარეობა, ან შესაძლებლობის შეზღუდვა. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების მოდელი შეიცვალოს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით, რომელიც პატივს სცემს პირის ავტონომიას, ნებასა და სურვილებს. ასეთი ზომები შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური.

- ▶▶ შესაძლოა, ხანდაზმულ პირებს დახმარება დასჭირდეთ საკუთარი ნებისა და სურვილების გამოხატვაში, ამიტომ, უნდა გამოიყენებოდეს კომუნიკაციის ყველა შესაძლო საშუალება, სიტყვების, სურათებისა და ნიშნების ჩათვლით. ამ კონტექსტში, ეროვნულმა სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს სათანადო გარანტიები, რათა ხანდაზმულებს თვითნებურად არ შეეზღუდოთ ავტონომიური გადაწყვეტილების მიღება. ხანდაზმულის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი მინიმალურად უნდა ჩაერიოს მის სურვილებსა და უფლებებში.

ძალადობის პრევენცია

- ▶▶ ნევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ შესაბამისი ზომების მიღება ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ასაცილებლად (როგორც ინსტიტუციური ზრუნვის კონტექსტში, ისე მის ფარგლებს გარეთ), საინფორმაციო კამპანიების, სამართლებრივი ჩარჩოებისა და ინსტიტუციური გარანტიების მეშვეობით. კერძოდ, მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა შეაფასონ პრობლემის მასშტაბი, გაზარდონ ცნობიერება ხანდაზმულთა მიმართ ძალადობისა თუ უგულებელყოფის აღმოფხვრის საჭიროებაზე და მიიღონ საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებითაც თავიდან აიცილებენ მას. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, სექსუალური და ფინანსური, ან ასახავდეს განზრახ თუ უნებლიე უგულებელყოფას, როგორც ფართო საზოგადოებაში და/ან სოციალურ სამსახურებსა და ინსტიტუციური ზრუნვის დაწესებულებებში.

სათანადო სახსრების/რესურსებისა და ინფორმაციაზე წვდომის

უზრუნველყოფა

- ▶▶ 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ხაზს უსვამს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხანდაზმულებს მისცემს აქტიური ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის საშუალებას. ეს მოიცავს სათანადო რესურსების/სახსრების უზრუნველყოფას (როგორცაა პენსიები და შეღავათები), მათ შორის, შემოსავლის დონის შესაბამისობას საზოგადოებრივ სტანდარტებთან და წვდომას პირველად საჭიროებებზე, როგორცაა, საცხოვრებელი, საკვები, კულტურული აქტივობები და ტრანსპორტი. იგი ასევე ითვალისწინებს მისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფას არსებულ მხარდაჭერის სერვისებსა და მათთან დაკავშირებულ ხარჯებზე. ეს ინფორმაცია უნდა მოერგოს ხანდაზმულთა მისაწვდომობის საჭიროებებს.

სათანადო სახსრები

- ▶▶ კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ნევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებზე, მიიღონ პოზიტიური ზომები, რათა ხანდაზმულ პირებს ჰქონდეთ საკმარისი შემოსავალი და წვდომა სოციალურ შეღავათებზე, ღირსეულად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ,

სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ეს მოიცავს წევრ სახელმწიფოთა საპენსიო სისტემების შესწავლას, როგორც შენატანებზე დაფუძნებული, ისე შენატანების გარეშე, სადაც პენსიები ინდექსირებულია ხელფასებისა და სამომხმარებლო ფასების მიხედვით, დამატებითი ფულადი შეღავათების/ვაუჩერებისა და ხანდაზმულ მოსახლეობაში სიღარიბის დონის მიხედვით.

- ▶▶ წევრმა სახელმწიფოებმა ამ რესურსების ერთიანი კალათა უნდა შეადარონ შემოსავლისა და სიღარიბის ეროვნულ ინდიკატორს (მაგ. საშუალო ხელფასს ან სიღარიბის ზღვარის საერთო რისკს), ადეკვატურობის/სათანადო დონის შესაფასებლად. 23-ე მუხლის თანახმად, მინიმალური შემოსავალი უნდა იყოს ისეთი, რომ [მისი ოდენობის] შეღავათმა შეადგინოს ქვეყნის წმინდა გათანაბრებული მედიანური შემოსავლის, სულ მცირე, 50%.

წვდომა ინფორმაციაზე, სერვისებსა და დაწესებულებებზე

- ▶▶ 23-ე მუხლი ეხება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას სერვისებსა და დაწესებულებებზე, თუმცა მოიაზრებს ამ სერვისებისა და დაწესებულებების არსებობასაც. შესაბამისად, კომიტეტი შეისწავლის არა მხოლოდ მათზე ინფორმირების საკითხებს, არამედ თავად სერვისებსა და დაწესებულებებსაც. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მისაწვდომი ინფორმაცია (ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული ყველა შესაძლო საშუალებით, ასევე, მათთვის გასაგებ ენაზე) და გადაამოწმონ ინფორმაციის მიღება.
- ▶▶ ამ მოთხოვნის მიღმაც, კომიტეტი აფასებს ისეთი სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობას, მოცულობასა და ხარჯს, როგორიცაა: შინ დახმარება, სათემო მომსახურებები, დემენციის მქონე პაციენტთა დღის ცენტრები, რეაბილიტაცია, საკვების მიწოდება, რეზიდენტული ზრუნვა, თავშესაფრები იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც გადაუდებელი დახმარება სჭირდებათ, კულტურული, დასვენებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები.
- ▶▶ ბევრი სერვისის (და მათზე ინფორმაციის) ხელმისაწვდომობა ონლაინსივრცეში სულ უფრო იზრდება, ციფრული ტრანსფორმაცია კი ხანდაზმულთათვისაც ახალ შესაძლებლობებს ქმნის. თუმცა, მათ შესაძლოა უფრო შეზღუდული წვდომა ჰქონდეთ ინტერნეტზე, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ან არ ჰქონდეთ მისი გამოყენებისთვის საჭირო უნარები. შესაბამისად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ უნდა გატარდეს ზომები ხანდაზმულთა ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად, ციფრული სერვისების მისაწვდომობისთვის და არაციფრული სერვისების შესაწარმუნებლად.

ავტონომიის, დამოუკიდებლობისა და ცხოვრების სტილის არჩევანის ხელშეწყობა

- ▶ 23-ე მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებულია ხანდაზმულთა (მათ შორის, რომლებსაც გარკვეული შეზღუდვები აღენიშნებათ დაავადების ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო) უფლება, ავტონომიურად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებაზე. ეს მოიცავს არჩევას, თუ სად და როგორ იცხოვრებენ, რასაც განამტკიცებს წვდომა შესაბამის საცხოვრებელ პირობებსა და აუცილებელ სოციალურ თუ ჯანდაცვის სერვისებზე. მნიშვნელოვანია, ნევრმა სახელმწიფოებმა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს არჩევანის თავისუფლებას და უზრუნველყოფს, რომ ხანდაზმულებმა მაქსიმალურად ხანგრძლივად შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა, მათთვის სასურველ საცხოვრებელ გარემოში.



საცხოვრებელი პირობები

- ▶ კომიტეტი ხაზს უსვამს უფლებას ხანდაზმულთა ჯანმრთელობის საჭიროებებზე მორგებული სათანადო საცხოვრებლის შესახებ, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ საბინაო პოლიტიკაში. იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს ისეთი საბინაო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ეფუძნება უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომას – „საკუთარ

სახლში დაბერებას“ – და უზრუნველყოფს დაცულ/მხარდაჭერილ საცხოვრისს, ასევე, დახმარებას სახლების ადაპტაციაში, რათა შესაძლებელი გახდეს დამოუკიდებლად ცხოვრება.

- ▶ ნევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, ხანდაზმულებს შესთავაზონ საკმარისი სათანადო საცხოვრებლები და გონივრულ ვადაში მიაღწიონ გაზომვად პროგრესს, არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენების შესაბამისად. ეს მოიცავს სტატისტიკის წარმოებას საჭიროებებსა და რესურსებზე, ზემოქმედების რეგულარულად შეფასებას, ვადების დადგენას მიზნების მისაღწევად და მოწყვლად ხანდაზმულებზე პოლიტიკის გავლენის გათვალისწინებას. ამასთანავე, მოცდის პერიოდი ხანდაზმულის მიერ საცხოვრებელზე წვდომის მისაღებად უნდა იყოს გონივრული, დროებით თავშესაფარში არაგონივრულად ხანგრძლივი დაყოვნება კი არღვევს ქარტიას.

ჯანმრთელობის დაცვა

- ▶ კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ჯანდაცვა მოიცავს არა მხოლოდ ძირითად სამედიცინო მომსახურებებს, არამედ სპეციალიზებულ სერვისებსაც როგორცაა: ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამები და პალიატიური ზრუნვა. გარდა ამისა, კომიტეტის მითითებით, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმძღვანელო მითითებები და მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს გერონტოლოგიური და ხანგრძლივი მოვლის სერვისების ხელმისაწვდომობა, მისაწვდომობა და ხარისხი, ასევე, სოციალური და სამედიცინო მომსახურების კოორდინაცია. ამ კონტექსტში, კომიტეტი აკვირდება მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, განსაკუთრებით, შინ მოვლისა და ფარმაცევტული პროდუქციის ღირებულებას, რათა დარწმუნდეს, რომ ეს ხარჯები ხანდაზმულებს არ უქმნის გადაჭარბებულ ფინანსურ ტვირთს. ჯანმრთელობის სერვისები უნდა მიწოდებოდეს საცხოვრებელთან ახლოს, ან სახლშივე; ხანდაზმულებთან კონსულტაცია უნდა გაიარონ ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ეხება მათ მოვლასა და მკურნალობას.
- ▶ კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ Covid-19-ის კრიზისმა გამოავლინა და გაამწვავა ხანდაზმულთა მიმართ უთანასწორო მოპყრობის პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის 23-ე მუხლი თანაბრად მოქმედებს Covid-19-ისა და მსგავს კონტექსტებში. ჯანდაცვის სფეროში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ტრიაჟის პოლიტიკის ფარგლებში, იშვიათი რესურსების (მაგ. ხელოვნური სუნთქვის აპარატების) განაწილება ეფუძნებოდასტერეოტიპულწარმოდგენებს ხანდაზმულთა სიცოცხლის ხარისხს/„ღირებულების“ შესახებ. კომიტეტის აზრით, გადაწყვეტილებები სამედიცინო რესურსების განაწილებაზე არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ასაკს. საჭიროა ტრიაჟის ისეთი პროტოკოლების შემუშავება და შესრულება, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტილებები დაეფუძნება მხოლოდ სამედიცინო საჭიროებებს და მეცნიერულად დასაბუთებულ საუკეთესო მტკიცებულებებს.

დენსტიტუციონალიზაცია

- ▶ კომიტეტის თანახმად, ინსტიტუციონალიზაცია სეგრეგაციის ფორმაა, რომელსაც ხშირად შედეგად მოჰყვება ავტონომიის, არჩევანისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა. ქართის საერთო აქცენტი ხანდაზმულთა ავტონომიასა და ღირსების პატივისცემაზე, საჭიროს ხდის ნაბიჯების გადადგმას, რათა ხანდაზმულები ეტაპობრივად გამოიყვანონ ინსტიტუციებიდან, ასევე, განაახლონ ინვესტიციები თემზე დაფუძნებულ მხარდაჭერის სისტემებში, რომლებიც ინსტიტუციების ალტერნატივაა.
- ▶ Covid-19-ის პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა ინსტიტუციური ზრუნვის სისტემის ნაკლოვანებები. ხანდაზმულთა ხელშეწყობა ოჯახურ გარემოში დასარჩენად, რასაც ითხოვს 23-ე მუხლი, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინფექციის მზარდი რისკების გათვალისწინებით – როგორც მოხუცთა პანსიონატებში, ისე სხვა გრძელვადიან ინსტიტუციურ თუ რეზიდენტულ დაწესებულებებში. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ არგუმენტს, რომ თემში ცხოვრების უფლების რეალობად ქვეყისათვის საჭიროა თემში ინვესტირება, ახლა დაემატა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის არგუმენტიც, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუციურ ზრუნვაზე უარის თქმას, ხანგრძლივი ზრუნვის საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

ინსტიტუციური ზრუნვა

- ▶ ხანდაზმულ პირებს, რომლებსაც სჭირდებათ ხანგრძლივი მოვლა, უნდა შეეძლოთ თავიანთი საცხოვრებელი გარემოს არჩევა. ამ კუთხით, კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს დენსტიტუციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებას და კონკრეტული პროგრესის ჩვენებას აღნიშნულ მიზნებთან მიმართებით. გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, რა დროსაც ინსტიტუციონალიზაცია გარდაუვალია, 23-ე მუხლის მესამე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ინსტიტუციებში მცხოვრებმა ხანდაზმულებმა მიიღონ სათანადო მხარდაჭერა და, ამავდროულად, შეინარჩუნონ ძირითადი უფლებები: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ღირსების დაცვა, და მონაწილეობა მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებათა მიღებაში. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყოთ საკმარისი, ფინანსურად ხელმისაწვდომი და სათანადოდ რეგულირებული ინსტიტუციური ზრუნვის დაწესებულებები, რომლებიც დაიცავენ ამ უფლებებს და არ დაუშვებენ ნებისმიერი სახის ძალადობასა თუ უგულებელყოფას.

- ▶▶ 23-ე მუხლი მოითხოვს, რომ საცხოვრებელი პირობები და ზრუნვა ინსტიტუციებში იყოს სათანადო და პატივს სცემდეს შემდეგ ძირითად უფლებებს: ავტონომიის დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ღირსების დაცვა, მონაწილეობა ინსტიტუციაში არსებულ საცხოვრებელ პირობებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში, ქონების დაცვის უფლება, ახლობლებთან პირადი კონტაქტის შენარჩუნების უფლება (მათ შორის, ინტერნეტკომუნიკაციით) და პრეტენზიის/საჩივრის წარდგენა ინსტიტუციაში ზრუნვისა და მოპყრობის შესახებ.
- ▶▶ ინსტიტუციური ზრუნვა უნდა იყოს ფინანსურად ხელმისაწვდომი, ღირებულების ასანაზღაურებლად კი უნდა არსებობდეს დახმარება. ყველა დაწესებულება უნდა იყოს ლიცენზირებული და გადიოდეს დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შემოწმებას. კომიტეტის თანახმად, დადგენილი სტანდარტები ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებზე. ამ დებულების ფარგლებში ასევე განიხილება პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათი გადამზადება და ანაზღაურების დონე, იძულებითი განთავსების შემთხვევები, სოციალური და კულტურული პირობები და ფიზიკური შეზღუდვებისა თუ სედაციური საშუალებების გამოყენება.

ქარტიის სხვა დებულებები ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით

- ▶▶ მრავალი თვალსაზრისით, 23-ე მუხლის საერთო ფილოსოფია – თანასწორი და აქტიური სოციალური მოქალაქეობა – უკვე ასახულია ქარტიის სხვა მატერიალურ დებულებებში, თუმცა 23-ე მუხლი ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს სხვა უფლებათა „გასაცოცხლებლად“ ხანდაზმულ პირთა კონტექსტში. ქარტიის ეს უფლებები, მათ შორისაა სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13) და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14). ქარტიის დებულებები მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ხანდაზმულების უფლებას დამოუკიდებლობაზე, სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე (მუხლი 15), ასევე, ოჯახის უფლებას სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე (მე-16 მუხლი, 27-ე მუხლთან ერთად), რადგან ოჯახის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულთა ხანგრძლივი ზრუნვის საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, თავად ხანდაზმულებს კი, განსაკუთრებით, ქალებს, სჭირდებათ დაცვა ოჯახში ძალადობისგან.
- ▶▶ და ბოლოს, ქარტიის შესაბამისი დებულებები ითვალისწინებს მატერიალურ უფლებებსაც – ჯანმრთელობის დაცვაზე (მუხლი 11), სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვასა (მუხლი 30) და საცხოვრებელზე (მუხლი 31). ეს უფლებები აქტიური სოციალური მოქალაქეობის ბუნებრივი წინაპირობაა. მათ შორის ქარტიის E მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ასაკისა თუ სხვა ნიშნით.



საქართველო და ხანდაზმულთა ქარტიით დაცული უფლებები

- ▶ ხანდაზმულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სოციალური უფლებების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვის, ამიტომ, პრიორიტეტულ საკითხად უნდა განისაზღვროს. ქარტია შეუცვლელი ჩარჩოა საქართველოში ხანდაზმულთა პოლიტიკის მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. იგი ქვეყანას ეხმარება, რომ პასიურ დამოკიდებულებასა და ზრუნვაზე დაფუძნებული მოდელიდან გადავიდეს აქტიურ სოციალურ მოქალაქეობაზე დაფუძნებულ მოდელზე, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ღირებულებებს – ავტონომიას, დამოუკიდებლობასა და სოციალურ ჩართულობას.
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ არ მიუღია ქარტიის 23-ე მუხლი კონკრეტულად ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ – არც სხვა უაღრესად რელევანტური დებულებები, რომლებიც ერთობლივად იცავს ხანდაზმულთა უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში – ივარაუდება, რომ ქვეყანა მზად არის ამ დებულებათა მისაღებად და საკუთარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური ჩარჩოს შესაბამისობაში მოსაყვანად მათთან.
- ▶ ქარტიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაბერების მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისათვის. იგი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც საქართველოს ეხმარება ახალ პარადიგმაზე გადასვლაში, როგორც ქარტიის სავალდებულო

დებულებების მეშვეობით, ისე მონიტორინგის ორგანოს ძალისხმევით. კომიტეტის მიერ ქარტიის განმარტებისა და სახელმწიფოს მოვალეობების გათვალისწინებით, საქართველოს მოეთხოვება სოციალური უფლებების უწყვეტად განხორციელება, ისე, რომ არ ჩამოცდეს მინიმალურ სტანდარტებს, პროგრესის გასაზომად კი გამოიყენოს დადგენილი კრიტერიუმები და ინდიკატორები. კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს, რა მნიშვნელობა აქვს შესაბამის ჯგუფებთან, მათ შორის, ხანდაზმულებსა და მათ წარმომადგენლებთან აქტიურ კონსულტაციებს პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ზოგადად, კომიტეტის განმარტებები ქარტიის შესახებ გვთავაზობს პრაგმატულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართ. ამ მიდგომას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ძალისხმევისთვის, უზრუნველყოს ხანდაზმული მოსახლეობის კეთილდღეობა, არსებული დემოგრაფიული გამოწვევების გათვალისწინებით.

- ▶▶ რაც შეეხება საქართველოში არსებული ინსტიტუციური მოწყობისა და სამართლებრივ-პოლიტიკური ჩარჩოს შესაძლებლობებსა და ადეკვატურობას, არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის გადასვლას დაბერების ახალ პარადიგმაზე და ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვას. მათ შორისაა:
 - ▶ ხარვეზები დაბერებასთან დაკავშირებული თანმიმდევრული პოლიტიკის სტრატეგიულ დაგეგმვაში, კოორდინაციასა და განხორციელებაში;
 - ▶ ადამიანური და ფინანსური რესურსების დეფიციტი დაბერებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად მოსაგვარებლად;
 - ▶ დაბერების პოლიტიკასთან დაკავშირებული სტრუქტურირებული დიალოგისა და თანამშრომლობის ნაკლებობა სახელმწიფო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის;
 - ▶ ხარვეზები ხანდაზმულთა შესახებ კვლევებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობაში.
- ▶▶ რაც შეეხება კონკრეტულ თემატურ სფეროებს, საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ღირსეული სამუშაო პირობების, დასაქმებისა და უნარების განვითარების ხელშესაწყობად, თუმცა კვლავ რჩება გარკვეული ხარვეზები ხანდაზმულ მუშაკთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაში. გარდა ამისა, მართალია, საქართველოს სოციალური დაცვის ჩარჩო აჩვენებს გარკვეულ ვალდებულებებს ხანდაზმულთა მიმართ (კერძოდ, ითვალისწინებს საყოველთაო პენსიასა და სოციალურ დახმარებას), საჭიროა რეფორმები, რათა გაუმჯობესდეს მისი ადეკვატურობა, აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა თუ სხვა დისკრიმინაციული პრაქტიკები და გაფართოვდეს მისი დაფარვა – ხანდაზმულ ასაკში ღირსეული

ცხოვრებისთვის აუცილებელი ყოვლისმომცველი მხარდამჭერი სერვისების გასათვალისწინებლად. ბოლოდროინდელი პოზიტიური განვითარებების მიუხედავად, საქართველოს გამონვევები აქვს სოციალური სერვისების მიწოდების კუთხითაც. კერძოდ, ეს ეხება სერვისების ხელმისაწვდომობას, ხარისხს, და შესაბამისობას ადამიანის უფლებათა პრინციპებთან. საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი წინსვლა აჩვენა, თუმცა კვლავ რჩება ხარვეზები ხანდაზმულთა სპეციალიზებულ მოვლაში, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა შემთხვევაში.

- ▶▶ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ოჯახში ძალადობასთან ბრძოლაში, თუმცა კვლავ რჩება მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ხანდაზმულებს, ასევე, მათ უნიკალურ საჭიროებებს დაცვისა და მხარდაჭერის კუთხით. ბოლო პერიოდში ქვეყანამ საგულისხმო ნაბიჯები გადადგა თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ავტონომიისა და ქმედუნარიანობის საკითხთა გადასაჭრელად, თუმცა კვლავ აწყდება დაბრკოლებებს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით, ისეთ ინტერსექციურ (ურთიერთგადამკვეთ) საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, ასაკი, გენდერი და ეთნიკური წარმომავლობა. ამავდროულად, რეალიზაციის პრობლემები აღინიშნება ისეთ სფეროებში, როგორცაა გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა და შშმ პირთა არსებითად ჩართვა დასაქმებაში, გადანყვეტილების მიღების პროცესებსა და სოციალურ ცხოვრებაში. დაბოლოს, საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა საჭიროებს რეფორმებს ხანდაზმულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან არ არსებობს ყოვლისმომცველი სტრატეგიები და რეგულაციები ამ კუთხით.
- ▶▶ იმისათვის, რომ არსებული გამონვევები გადაიჭრას ქართისა და აქტიური სოციალური მოქალაქეობის ფილოსოფიის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას დაბერების მიმართ, მიზანშეწონილია, საქართველოს ხელისუფლებამ:
 - ▶ მიიღოს ხანდაზმული პირებისთვის მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ჯერ არ აქვს რატიფიცირებული;
 - ▶ მიიღოს დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას (1995);
 - ▶ გააუმჯობესოს ანგარიშგება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წინაშე, უფრო სიღრმისეული ინფორმაციის წარდგენით ქართის მიღებულ და მიუღებელ დებულებებზე;
 - ▶ თავისი იურისდიქციის ფარგლებში, ეროვნულ წარმომადგენლობით არასამთავრობო ორგანიზაციებს მიანიჭოს კომიტეტის წინაშე საჩივრების წარდგენის უფლება და, ამ მიზნით, გააკეთოს განაცხადი,

დამატებითი ოქმის შესაბამისად (რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას), ან შესწორებული ქარტიის DS2 მუხლის თანახმად;

- ▶ კანონებისა და პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესში, ან ქარტიით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებისას, ჩაერთოს კომიტეტის საქმიანობაში, რომელიც მიემართება ხანდაზმულთა უფლებებს.

→ შესაბამისი კოლექტიური საჩივრები

- International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France, საჩივარი No. 210/2022, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2023 წლის 21 მარტი – ასაკობრივი ზღვარი (71 წელი) კანდიდატებისთვის, რომლებიც კენჭს იყრიან ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალთა ორდენის საბჭოში (ქართვის მუხლები 23, 5 და E). გადაწყვეტილება არსებით მხარეზე განხილვის პროცესშია.
- International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France, საჩივარი No. 205/2022, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2025 წლის 18 მარტი – ხანდაზმულ პირთა სამართლებრივი და სასამართლო დაცვა (ქართვის მუხლები 23, 15 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება – ასევე, 16, 30, 31, E და G).
- Defence for Children International (DCI) and others v. Spain, საჩივარი No. 206/2022, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2024 წლის 11 სექტემბერი – ენერგომომარაგების შეწყვეტის გავლენა ხანდაზმულთა ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელ პირობებსა და სოციალურ დაცვაზე (ქართვის მუხლები 11, 15, 16, 17, 20, 23, 27, 30, 31 და E).
- Validity Foundation – Mental Disability Advocacy Centre v. Czech Republic, საჩივარი No. 188/2019, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2023 წლის 17 ოქტომბერი – ხანდაზმულ პაციენტთა მოთავსება ბადით შემოსაზღვრულ საწოლებში, როგორც შემზღუდავი საშუალება ჯანდაცვის კონტექსტში (ქართვის მუხლი 23 /1961 წლის ქართვის 1988 წლის დამატებითი ოქმის მუხლი 4 და ქართვის მე-11 მუხლი).
- Validity Foundation v. Finland, საჩივარი No. 197/2020, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2023 წლის 22 მარტი – სახელმწიფოს რეაგირება კორონავირუსის პანდემიაზე 2020 წლის გაზაფხულზე, შშმ პირებთან მიმართებით (ქართვის მუხლები 11, 14, 15 და E).
- Panhellenic Association of Pensioners of the OTE Group Telecommunications (PAP-OTE) v. Greece, საჩივარი No.165/2018, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2022 წლის 17 მაისი – საპენსიო რეფორმები და შემცირებები ფინანსური კრიზისის პირობებში (ქართვის მუხლები 12§2, 12§3 და 23).
- International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France, საჩივარი No. 162/2018, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2020 წლის 10 დეკემბერი – ასაკობრივი ზღვარი (71 წელი) კანდიდატებისთვის, რომლებიც კენჭს იყრიან ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალთა ორდენის საბჭოში (ქართვის მუხლები 5,

23 და E).

- International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France, საჩივარი No. 145/2017, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 მაისი –ხანდაზმულობით გამოწვეული უმწეობის ბოროტად გამოყენების დასჯა (ქარტიის მუხლები 23 და E).
- Fellesforbundet for Sjøfolk (FFFS) v. Norway, საჩივარი No. 74/2011, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი – მეზღვაურთა იძულებითი გასვლა პენსიაზე 62 წლის ასაკში (ქარტიის მუხლები 1, 24 და E).
- The Central Association of Carers in Finland v. Finland, საჩივარი No. 71/2011, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2012 წლის 4 დეკემბერი – კანონით დაწესებული ფასების არარსებობა ხანდაზმულთა სახლების მომსახურებებზე (მათ შორის, სადაც ხელმისაწვდომია 24-საათიანი დახმარება) (ქარტიის მუხლები 13, 14, 16 და 23).
- The Central Association of Carers in Finland v. Finland, საჩივარი No. 70/2011, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2012 წლის 4 დეკემბერი – თანასწორობა ოჯახის წევრ და მეგობარ მზრუნველთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ქარტიის 23-ე მუხლი).
- International Federation of Human Rights (FIDH) v. Ireland, საჩივარი No. 42/2007, გადაწყვეტილება არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი – შენატანებზე დაფუძნებული ასაკობრივი პენსიის მიღება იმ პირთა მიერ, რომლებიც ქვეყანაში მუდმივად არ ცხოვრობენ (ქარტიის 23-ე მუხლი, E და მე-12 მუხლებთან ერთად).

→ სხვა შესაბამისი დოკუმენტები

- N.A. Papadopoulos, „ხანდაზმულთა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება საქართველოში“, Council of Europe Publications, 2025.
- ECSR, „სოციალური უფლებები და ცხოვრების დირებულების კრიზისი: წევრ სახელმწიფოთა სპეციალური ანგარიშების მიმოხილვა“, 2025.
- ECSR, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ: ასაკობრივი დისკრიმინაცია (ეიჯიზმი), 2021.
- ECSR, განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ, 2021.
- ECSR, ბოლოდროინდელი დასკვნები 23-ე მუხლის შესახებ , 2021.
- ECSR, განცხადებები 23-ე მუხლის განმარტების შესახებ, 1991-2013.

ევროპის სოციალური ქარტია, მიღებული 1961 წელს და შესწორებული 1996 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პარტნიორი ხელშეკრულებაა ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

საერთოევროპულ დონეზე არცერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი არ უზრუნველყოფს სოციალურ უფლებათა ისეთ ფართო და სრულფასოვან დაცვას, როგორსაც ითვალისწინებს სოციალური ქარტია.

შესაბამისად, ის აღიქმება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

Shutterstock photos

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსგან, რომელთა შორისაც არის ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE